პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 11 (18853) პარასკევი, 13 იანვარი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

...ხევაში, წინანდელზე უკეთ, დავეუფლოთ ვითარებას.

მალე კი ნათელი გახდა: ამ დონიდან ყოველთვის ვერ მისწვდები საწარმოს. ისიც კი მოვისურვეთ, რომ ასეთი სისტემა რაიონებისა და ქალაქების დონეზე დაგვენერგა, მაგრამ ყველგან არა გვყავს მცოდნე სპეციალისტები, არ არის ინსტიტუტები. მაშინ რესპუბლიკა დავყავით რამდენიმე ზონად, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი ეკონომიკური მახასიათებლები ჰქონდათ.

თითქოს, ურიგოდ არ გამოვიდა. მაგრამ გამოვიყენეთ პირველი რეზერვები — ისინი, რომლებიც ზედაპირზე იყო, — და მივხვდით: იმისათვის, რომ მეტი გავაკეთოთ, უნდა ვეძიოთ მექანიზმი, რომელიც ოპტიმალურად შეუთავსებს ერთმანეთს ცენტრალიზებული და ტერიტორიული მართვის პრინციპებს. მომდევნო ნაბიჯი გახლდათ ახლა უკვე ცნობილი ფოთის ექსპერიმენტი, რომელიც მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მართვის სისტემის სრულყოფისათვის...

ფიქრები

ვეძიოთ, ვიმოქმედოთ, დავამკვიდროთ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს შეხვდნენ „იზვესტიის" კორესპონდენტები ტ. ბანტურია და ე. იაკოვლევი

სოციალისტური დემოკრატია მოქმედებს

ქვეყანაში დაიწყო საოლქო არჩევნებისწინა თათბირები

საფრანგეთის მოძრაობას „ასთა მოწოდებას"

დიდი ყურადღებით გავეცანი თქვენს წერილს, რომელშიც მწერთ, რომ ფრანგი ხალხი ღრმად არის შეშფოთებული საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მშვიდობის საქმისათვის.

საბჭოთა კავშირში იცნობენ თქვენი მოძრაობის საქმიანობას, რომელშიც მონაწილეობენ საფრანგეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, თქვენი ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი, საფრანგეთის წინააღმდეგობის ვეტერანები.

ბირთვული ომის საფრთხე მართლაც მატულობს იმის გამო, რომ ევროპაში დაიწყო ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება. და თქვენ, რა თქმა უნდა, სამართლიანად აყენებთ იმ დაბრკოლებათა დაძლევის საკითხს, ...

...თქვენს წერილში გამოხატული ფრანგების მზარდი წუხილი ჩვენი კონტინენტის მომავლისათვის. არ დავიმალავთ, დღეს საბჭოთა ადამიანების მთავარი საზრუნავიც ის არის, რომ აღკვეთონ ბირთვული ომის საფრთხე. მაგრამ ვფიქრობთ, რომ შექმნილი სიტუაცია არ არის შეუქცევადი. საბჭოთა ხელმძღვანელობამ უკვე სრულიად გარკვეულად განაცხადა, რომ თუ ნატოს ქვეყნები მზად იქნებიან დაუბრუნდნენ ევროპაში „საშუალო სიშორის" ამერიკული რაკეტების განლაგებამდე არსებულ მდგომარეობას, სსრ კავშირიც ასევე მოიქცევა. მაშინ, ბუნებრივია, აღარ გახდებოდა საჭირო ის საპასუხო ღონისძიებანი, რომლებიც ახლა იძულებული არიან განახორციელონ საბჭოთა კავშირმა და ჩვენმა მოკავშირეებმა და რომლებიც უტოლდება იმ საფრთხეს. ჩვენი ქვეყნების ...

...საზოგადოებრიობის მოტყუებაში. ყოველი მოაზროვნე კაცი მიხვდება ამას.

ამრიგად, შექმნილი მდგომარეობისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის იმ ნატოელ პარტნიორებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ევროპის მიწა-წყალზე ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებას.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია ...

...იარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში ევროპისა და მთელი ჩვენი პლანეტის ბირთვული საფრთხის ღრუბლებით მოქუფრული ცის მოწმენდისათვის.

ი. ანდროპოვი.

1984 წლის 12 იანვარი.

მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის

12 იანვარს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო საფრანგეთის ომისაწინააღმდეგო მოძრაობის „ასთა მოწოდების" დელეგაცია ...

...„იზვესტია", 1984 წ.12-I.

ყვავილები ილიჩს

12 იანვარს თბილისის XXXIX საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები მივიდნენ საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვ. ი. ლენინის ძეგლთან ...

დღეს, 13 იანვარს, მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXIX საქალაქო პარტიული კონფერენცია



სალამი კონფერენციის დელეგატებს!

სოციალისტური დემოკრატია მოქმედებს

(მასალიდან)

სოფლიჭირი ასპინძა 5 ზ ე. ბ. ... ანდრიანიდი ...

1984 წელი. პირველი დეკადა. პირველი შედეგები

გააწიოა რესპუბლიკის სამუშაო მაჯისცემა. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე იბრძვიან მნიშვნელოვანი შრომითი შედეგებისათვის მრავალი საწარმოსა და მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივები, წარმოების ათასობით ნოვატორი. შრომით კოლექტივებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა 1984 წლის პირველი ათი დღის საწარმოო საქმეები.

თბილისი. 25 ათასი მანეთის ხარისხოვანი ქსოვილი და ზედატანსაცმელი, მათ შორის საბავშვო ტანსაცმელი, გამოუშვა პირველი დეკადის დავალების გადაჭარბებით უქსოვადი ფართლეულის ფაბრიკამ. ნიადაგ გადაჭარბებით ასრულებდა დღის დავალებებს საწარმოს ოთხმოცი მუშაკი. შეჯიბრებაში ჩაბმულთა ავანგარდში არიან წარმოების ვეტერანები — მქსოველები ლ. კოლბიდაშვილი, ვ. იმედაშვილი, მკერავები ი. სუხიაშვილი, მ. აფაქსიევა და ნ. ზელენიძე.

საწარმოს მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე 20 პროცენტით გაზარდონ პროდუქციის გამოშვება. ამას ხელს შეუწყობს საამქროებში დადგმული ახალი ტექნიკა, მოწყობილობის უნარიანი ექსპლოატაცია.

— უდანაკარგოდ მუშაობის შესაძლებლობას მოგვცემს ფართო მოხმარების საქონლის საამქრო, რომელიც ახლახან შეიქმნა საწარმოში, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა ლ. გეგეჭკორმა.

ამ საამქროში ქსოვილების ნარჩენებისა და არასტანდარტული ნაკეთობებისაგან კერავენ წინსაფრებს, გულსაფრებს ბავშვებისათვის და სხვა ნაწარმს — სულ 14 ათასი მანეთის პროდუქციას.

სოხუმი. რეკორდულ გამომუშავებას მიაღწიეს ახალი წლის პირველ დღეებში საკონსერვო ქარხნის მუშაკებმა ნუცა კაპანაძემ და ეცია ქვაცინიამ, რომლებიც ჩვეულებრივ, ერთნახევარჯერ და მეტად აჭარბებენ ცვლის დავალებებს.

ახალი წლის ათი დღის მანძილზე მომხმარებელს 80 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია გაეგზავნა.

საქმით უპასუხებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რესპუბლიკაში ციტრუსების სამრეწველო გადამუშავების გაფართოება, სოხუმელი მეკონსერვეები ამ დღეებში ფართო ასორტიმენტით უშვებენ მანდარინის მურაბას, სხვადასხვა წვენსა და ციტრუსების ნარჩენებისაგან დამზადებულ ფხვნილს.

ქალაქის ამ მოწინავე საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადაჭარბებით ორი პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, მიაღწიოს პროდუქციის თვითღირებულების 1 პროცენტით შემცირებას. გადაწყდა პირველი კვარტალის პროგრამა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის შეასრულონ.

ბათუმი. წელს პროდუქციის პირველი პარტია გაუგზავნა ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანამ მოსკოვის, ლენინგრადის და ტაშკენტის თამბაქოს ფაბრიკებს.

აჭარის ეს მოწინავე საწარმო გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით მუშაობს. ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი დეკადის ყოველი დღე აღნიშნულია დიდი შრომის ნაყოფიერებით. მწეველი ი. ბოლქვაძე, შემფუთავი ვ. უშარიძე, გ. ჩაგანავას მეტრანსპორტეთა ბრიგადა 150-170 პროცენტით ასრულებენ ცვლის ნორმებს.

ხუთწლედის გასულ წელს, — თქვა ქარხნის დირექტორმა მ. ხარაზმა, — კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. დავალების გადაჭარბებით გამოუშვით 2800 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება 1982 წელთან შედარებით გაიზარდა 26 პროცენტით. ჩვენი წარმოების პირობებში ეს მაღალი მაჩვენებელია. ასეთი რამ არ ახსოვს ქარხნის ისტორიას. ამრავლებენ რა მიღწეულს, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. მათგან მთავარია მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით ერთი პროცენტით გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირებას.

ცხინვალი. 37 ათასი მანეთის რვა ავტობუსი და 26 ძრავა შეაკეთა პირველი დეკადის მანძილზე ცხინვალის ავტობუსშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ეს გეგმას თითქმის სამი ათასი მანეთით აღემატება. ასეთია ხარატის ავთანდილ კასრაძის, შემდუღებლების გიორგი მჭედლიძისა და თენგიზ აკოფოვის, მეთუნუქე გიორგი ჯიოევის და სხვების თავდადებული შრომის შედეგი. მათ ყველამ ერთნახევარჯერ და მეტი გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო დავალებანი.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს იანვრის პირველი დეკადა ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის, ქარხანა „ემალსადენის", ავტონომიური ოლქის დედაქალაქის სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

ქუთაისი. ქუთაისის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა პირველი დეკადის საწარმოო გეგმა.

ახალ წელს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა აითვისა ახალი პროდუქციის — ჩასაძირი ერთხაზიანი ელექტროძრავების სერიული წარმოება.

დადგნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავ შრომით ვახტზე, დიდ წარმატებებს აღწევენ ელექტროსაამქროს ამწყობი ზეინკლები. ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს დემურ ხაბურზანია, ცხრა დღეში შეასრულა ამ პროდუქციის გამოშვების ათი დღის გეგმა. გრაფიკის გასწრებით შრომობენ აგრეთვე მუშები რეზო ბერიშვილი, ელდარ ჩხეიძე, ანდრო დვალიშვილი და სხვები.

მიმდინარე წელს გამოშვებული პირველი პროდუქცია ქარხნის კოლექტივმა უკვე გაუგზავნა კომის ას რესპუბლიკის მენავთობეებს.

ჭიათურა. პირველი ასობით ტონა მანგანუმის მადანი მიიღო ახალმა უბანმა, რომელიც ამოქმედდა მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის წინ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოში. უბნის წლიური სიმძლავრეა 50 ათასი ტონა მანგანუმი.

თავი გამოიჩინეს გვირაბგამყვანებმა გ. ყიფიანმა, ო. ყაველაშვილმა, ი. მაჭარაშვილმა და სხვებმა. პირველი ათი დღის გეგმა ვადამდე შესრულდა.

ნაყოფიერად იშრომეს გასულ დღეებში კალინინის სახელობის, პატარიძის სახელობის და სხვა მაღაროთსამმართველოების კოლექტივებმა. აქ არ არიან ჩამორჩენილი ბრიგადები. ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს გაეგზავნა დაახლოებით 1000 ტონა ზეგეგმითი მანგანუმი.

რუსთავი. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" მიერ ახალი წლის პირველ დღეებში გამოშვებული პროდუქციის მორიგ, მეოთხე სახეობას — კორდ-ქსოვილს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. კორდ-ქსოვილი გამოიყენება ავტომობილების, თვითმფრინავებისა და ველოსიპედების საბურავების დასამზადებლად. გაიზრდება ამ საჭირო პროდუქციის გამოშვებაც. თუ შარშან საქსოვი საამქრო ყოველწლიურად სამ მილიონ კვადრატულ მეტრ კორდ-ქსოვილს ამზადებდა, ახლა მისი წარმოება 4,5 მილიონ კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში თავი გამოიჩინეს ზოია ფუხაევამ, ნანა მჭედლიშვილმა და სხვა მოწინავე მუშებმა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მრეწველობის სტატისტიკის სამმართველოს უფროსის ა. ბ. ბორდვეის კომენტარი:

ახალი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი ის არის, რომ სამრეწველო საწარმოები, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ, სტაბილურად აჭარბებენ წარმოების ტემპს, ამაღლებენ მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხს, ამით ფარავენ ხუთწლედის დამდეგიდან შექმნილ დანაკლისს საგეგმო დავალებების რეალიზაციაში. ამ მხრივ საგულისხმოა რუსთავის ინდუსტრიის მაგალითი. მეტალურგიულ ქარხანაში, ვთქვათ, პირველი დეკადის მანძილზე აწარმოვეს 4728 ტონა ფოლადის მილები, გასული წლის შესაბამის პერიოდში კი გამოშვებული იყო 3638 ტონა.

კარგად დაიწყო მუშაობა საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კოლექტივმა: თუ გასული წლის პირველ დეკადაში 5150 ტონა სინთეზური ამიაკი და 470 ტონა კაპროლაქტამი გამოუშვეს, ახალი წლის პირველი ათი დღის მანძილზე შესაბამისად გამოშვებულია 6130 და 518 ტონა.

მიმდინარე რეკონსტრუქციის მიუხედავად სტაბილურად მუშაობენ საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" საწარმოები. ნიადაგ მატულობს წარმოების ტემპი და შრომის ნაყოფიერება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება ფოთის სამრეწველო საწარმოებში.

დამაჯერებლად იშრომეს წლის პირველ დეკადაში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებმა. ნორმის გადაჭარბებით გაგზავნეს ას ვაგონზე მეტი ხე-ტყე, 229 ვაგონი სასურსათო ტვირთი, მომხმარებლებს დამატებით გაუგზავნეს 2500 ტონა მანგანუმის მადანი.

ამავე დროს წარმოების ტემპი შეანელა რესპუბლიკის ზოგიერთმა წამყვანმა სამრეწველო საწარმომ. მაგალითად, 1983 წლის პირველ დეკადასთან შედარებით ოთხჯერ ნაკლები ლითონსაჭრელი ჩარხი დაამზადეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. უარესად მუშაობენ ენგურელი მექაღალდეები: თუ გასული წლის პირველი ათი დღის მანძილზე ადგილობრივმა ცელულოზა-ქაღალდის კომბინატმა აწარმოვა 920 ტონა ქაღალდი, მიმდინარე წლის პირველი ათი დღის მანძილზე გამოუშვა მხოლოდ 828 ტონა. შემცირდა აგრეთვე მუყაოს გამოშვება, 784-დან 591 ტონამდე.

წლის პირველ დეკადაში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მოპოვება, სასურსათო თევზეულისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოება. (საქინფორმი).

სოციალისტური დემოკრატია მოქმედებს

(დასასრული)

მომადგენლების არჩევნებისწინა თათბირი.

— ჩვენმა კოლექტივმა — თქვა „მოლდავეთელმანქანის" საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. გ. მუნტიანუმ, — თავის პირველ კანდიდატად დაასახელა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მთელი მისი ცხოვრების გზა საბჭოთა ხალხის თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითია.

„მონოლითმშენის" ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ი. ა. ბულგაკმა განაცხადა, რომ სამმართველოს კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აგრეთვე კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ი. ნ. როშკა.

დასახელებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს კიშინიოვის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-სასწავლებლის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დ. ზუბრიცკიმ, პარტიის ვეტერანმა ს. ა. როგოვმა, „ზილსოფლმანქანის" საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ვ. ა. ჩუმაჩენკომ და სხვებმა.

თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წინადადებას **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და ივანე ნიკიტას ძე როშკას** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელების შესახებ და გადაწყვიტა სთხოვოს მათ დათანხმდნენ კენჭი იყარონ კიშინიოვის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში.

ყირგიზეთის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო არჩევნებისწინა თათბირი.

— ჩვენი საწარმოსა და ყირგიზეთის კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივებმა, — თქვა სასოფლოტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ფრუნზეს ექსპერიმენტული სარემონტო ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგმა დ. ა. ტურუსბეკოვამ, — თავიანთ პირველ კანდიდატად დაასახელეს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში ჩვენი ქვეყნის წარმატებებს, სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას საბჭოთა ადამიანები მის სახელს უკავშირებენ.

ამავე ოლქში, თქვა ორატორმა, დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია კამვოლ-მაუდის კომბინატის მოწინავე მრთველი ტ. მ. ნურმანბეტოვა.

ამ კანდიდატურებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი „მძიმეელექტრომანქანის" ქარხნის ელექტრომეგრაგნილემ ზ. დერბიშალიევამ, პარტიის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ა. ბულამ, ყირგიზეთის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა დ. ტოგუსბაევამ და სხვებმა.

თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და ტურსუნბუბუ მამითქას ასულ ნურმანბეტოვას** დასახელებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად და სთხოვა მათ დათანხმდნენ კენჭი იყარონ ფრუნზეს საარჩევნო ოლქში.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა არჩევნებისწინა თათბირი.

ამ ოლქში „ტალექსის" საწარმოო გაერთიანების ტალინის ექსკავატორის ქარხნისა და ესტონეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი და ექსკავატორის ქარხნის ხარატთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. რ. ლიივა.

თათბირზე გამოვიდა ზ. ა. ალიოხინა — ტალინის ექსკავატორის ქარხნის თერმისტი, რომელმაც თქვა:

— ყველა საბჭოთა ადამიანი იცნობს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს როგორც პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინის დიადი საქმის ერთგულ განმგრძობს.

[illegible] პუტატობის კანდიდატებად ტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელეს **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი და ვალდო რიხარდის ძე ლიივა**, და სთხოვეს მათ დათანხმდნენ კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

* * *

საოლქო არჩევნებისწინა თათბირებზე მიიღეს მიმართვები ამომრჩევლებისადმი. (საქდეს).

საქართველოს სსრ

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში

სადღესასწაულოდ არის მორთული თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კულტურის სახლის სააქტო დარბაზი. აქ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საოლქო არჩევნებისწინა თათბირი.

თათბირის გახსნისას საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ა. წულაძემ აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება სულ უფრო დიდ გაქანებას იძენს. იგი მშრომელებს ავსებს ახალი შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით, გადაწყვეტილებით — შეასრულონ სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამის მკაფიო დასტურია რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების სტარტი ხუთწლედის მეოთხე წელს.

უდიდესი აღმაფრენით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს ბრიგადირი ა. გ. გორგაძე.

— ჩვენი საწარმოს მშრომელებმა, — თქვა მან, — ერთსულოვნად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში დაასახელონ გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ქვეყნად მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ჩვენმა კოლექტივმა, თქვა შემდეგ ორატორმა, ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ქარხნის ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გურამ არჩილის ძე მეტონიძე.

თათბირზე გამოვიდნენ კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" პარტკომის მდივანი ო. გ. ნადირაძე, თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის განმრიგებელი მ. ი. ერაძე, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ნ. სალაყაია, კომკავშირის პირველი მაისის რაიკომის მეორე მდივანი მ. ა. ვეშაგური, თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის კურსანტი ა. ვ. ბეკლემიშევი. მათ დამსწრეთ მოუწოდეს მხარი დაუჭირონ შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებას, რომლებმაც დაასახელეს ი. ვ. ანდროპოვის და გ. ა. მეტონიძის კანდიდატურა.

არჩევნებისწინა თათბირმა ერთხმად დაადგინა მოიწონონ გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად № 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და გურამ არჩილის ძე მეტონიძის** დასახელების შესახებ და სთხოვა მათ დათანხმდნენ კენჭი იყარონ ამ ოლქში.

მიიღეს მიმართვა ამომრჩევლებისადმი. (საქინფორმი).

განვამტკიცოთ საბრძოლო მზადყოფნა, არ მოვადუნოთ პოლიტიკური სიფხიზლე

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის XXXI პარტიული კონფერენცია

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ყოველი მესამე მეომარი და ყოველი მეორე კომუნისტი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. ეს ითქვა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის XXXI პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის დარბაზში შეკრებილმა არმიელმა კომუნისტებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

პარტიის XXVI ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა, ახალი სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოთხოვნათა მიხედვით საბრძოლო მზადყოფნის, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, მხედრული დისციპლინის განმტკიცებისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ა. ი. შირინკინმა.

კომუნისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ოლქის მეომრები დიდი დაინტერესებითა და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტს, რომლებიც კვლავ მკაფიოდ ადასტურებენ, თუ რაოდენ ზრუნავს პარტია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლების განვითარებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

კომუნისტური აღმშენებლობის ფართო მასშტაბის ამოცანების გადაწყვეტა ჩვენს ქვეყანას რთულ, დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში უხდება. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა უმაგალითო მასშტაბის „ჯვაროსნული ლაშქრობა" გააჩაღეს სსრ კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულებით მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ცდილობენ მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას ჩვენს ქვეყანასთან შედარებით, საომარ კონფლიქტებს აღვივებენ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. ოლქის მეთაურებს, პოლიტორგანოებსა და პარტიულ ორგანიზაციებს სწორი დასკვნები გამოაქვთ შექმნილ სიტუაციაში. უკანასკნელი წლების მანძილზე პირადმა შემადგენლობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საბრძოლო მომზადების სრულყოფის გზაზე. უფრო სრულად ხორციელდება სასწავლო პროგრამები და გეგმები, გაძლიერდა ყურადღება ჯარების ტაქტიკური მომზადებისადმი, დაიხვეწა ოფიცერთა მეთოდიკური ოსტატობა, განმტკიცდა მხედრული სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბევრს შრომობენ სამხედრო მშენებლები, საბჭოთა არმიის მუშები და მოსამსახურენი. ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი მხედრული დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დღეს მორალური ფაქტორება, თითოეული მეომრის მტკიცე დისციპლინა, პოლიტიკური კულტურა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ამიტომ ორატორებმა მჭიდროდ დაუკავშირეს საბრძოლო სწავლების მიმდინარეობას, ოლქის ნაწილებში მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფის ანალიზი იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, ჯარების მთელ ცხოვრებაზე პარტორგანიზაციათა გავლენის გაძლიერების საჭიროებას. უკანასკნელ ხანს უფრო ბეჯითად წყდება ქვეგანაყოფების პარტორგანიზაციათა იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების ამოცანები, გაძლიერდა ყურადღება პარტიის წევრთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებისადმი. პოლიტორგანოების, პარტკომებისა და ბიუროების უმრავლესობამ გააუმჯობესა პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობისადმი.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს კონტრპროპაგანდა. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ იგი უფრო დასაბუთებული და შეტევითი უნდა გახდეს, უფრო ოპერატიული და ქმედითი უნდა იყოს ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეთა პოლიტიკური ინფორმირება.

პოლიტორგანოები, პარტიული ორგანიზაციები, თქვეს დელეგატებმა, მეტი მომთხოვნელობით უნდა ეკიდებოდნენ კომუნისტ ხელმძღვანელებს. თითოეულ ოფიცერს უნდა ვუნერგავდეთ თავისი პროფესიული ოსტატობის დახვეწის საჭიროების შეგნებას, იმის უნარს, რომ კონკრეტულად წარმართავდეს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, რათა პირადი შემადგენლობა დარაზმოს საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის შემდგომი დაუფლებისათვის.

კონფერენციის დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამეურნეო-ანგარიშიან საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, სამხედრო ვაჭრობის სისტემაში დააზუსტონ და შეიმუშაონ ვალდებულებანი, რათა შრომის ნაყოფიერება გეგმის გადაჭარბებით გაზარდონ სულ ცოტა ერთი პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება დამატებით შეამცირონ 0,5 პროცენტით. ეს იქნება ოლქის კომუნისტთა საქმიანი პასუხი სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, კვლავაც გავაძლიეროთ სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების აქტიურობა, მათი მეცადინეობა წარვმართოთ ტექნიკის, სახელმწიფო და სამხედრო ქონების უკეთ დაცვა-შენახვისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის საბრძოლველად.

გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეომართა ყოფა-ცხოვრების, კვების, სამედიცინო მომსახურებისათვის ზრუნვას. ამასთან ითქვა, რომ ჯარისკაცთა და ოფიცერთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, კულტურული დასვენება, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება არა მარტო ოლქის სამხედრო საბჭოს და პოლიტორგანოების, არამედ ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრშია.

ერთიანი მიზანი, საერთო მეცადინეობა

ეს როდია იმის ერთადერთი მაგალითი, თუ როგორ თანამშრომლობენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კომუნისტები იმათთან, ვის მშვიდობიან შრომასაც ისინი იცავენ. ყოველწლიურად ღრმავდება ლექციური პროპაგანდის ერთობლივი ორგანიზაციის პრაქტიკა, ვითარდება მეომრებისა და შრომითი კოლექტივების სამხედრო-საშეფო და კულტურულ-საშეფო ურთიერთობის სახელოვანი ტრადიციები, რაც არმიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას განსახიერებს. კონფერენციაზე აღინიშნა: ეს მშრომელთა და სამშობლოს დამცველთა ნამდვილი სულიერი ძმობა, ინტერნაციონალური ერთიანობა, სოლიდარობა და პატრიოტული შეკავშირება ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო ამოცანების გადაწყვეტაში.

ბუნებითა და არსით ინტერნაციონალური საბჭოთა არმია გულუხვად უზიარებს ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას მშრომელთა ფართო მასებს. და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ოლქის მეთაურები, პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები წარმატებით ახორციელებენ პარტიის მითითებებს პირადი შემადგენლობის ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ. გულწრფელად ხარობენ რა არმიელი კომუნისტები წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში, ამიერკავკასიის მშრომელებს მუდამ ახსოვთ, რომ ამიერკავკასიელი მეომრები ასეთივე დაინტერესებით ადევნებენ თვალს სამი მოძმე რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მცხოვრების საქმეებსა და მიღწევებს.

კამათის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ქალაქებისა და რაიონების, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა პარტიული კომიტეტები სამხედრო კომისარიატებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დღენიადაგ აუმჯობესებენ გასაწვევი ახალგაზრდობის მომზადებას არმიასა და ფლოტში სამსახურისათვის. მოიყვანეს საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითი, სადაც სამხედრო-პატრიოტული, თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ამოცანების კომპლექსურ და ეფექტიან უზრუნველყოფას ხელს უწყობს ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში დამკვიდრებული ამ პრობლემების გადაწყვეტისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემა, სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოქმედებენ ოლქის სარდლობასთან და პოლიტსამმართველოსთან მჭიდრო კონტაქტით.

მიუხედავად ამისა, გადასაწყვეტი საკითხები აქაც არის, აღინიშნა კონფერენციაზე. კერძოდ, იმავე საქართველოს სს რესპუბლიკაში დოსააფის ორგანიზაციებმა და სამხედრო კომისარიატებმა უნდა შეათანხმონ თავიანთი ღონისძიებანი, შეიმუშაონ თავდაცვით-მასობრივი მუშაობის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ორგანიზაციის, საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის მისი მომზადების მწყობრი სისტემა.

ითქვა, რომ ოლქის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში უნდა გაძლიერდეს საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციების პროპაგანდა, ახალი იმპულსი მიეცეს ვეტერანებისა და საზოგადოებრიობის საქმიანობას, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საჯარისო მუზეუმების აღმზრდელობითი შესაძლებლობანი. სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებაც. ამავე დროს ახალგაზრდობას შორის, რომელიც ხვალ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგება, უკეთ უნდა გავუწიოთ პროპაგანდა საოჯახო, საგვარეულო ტრადიციებს, როცა ოფიცერთა შვილები და შვილიშვილები ღირსეულად განაგრძობენ უფროსი თაობის სახელოვან საქმეებს.

კონფერენციაზე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის სახელით მადლობა გადაუხადეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ ეხმარებიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობას, პოლიტორგანოებს პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობისა და პოლიტიკური აღზრდისათვის მუშაობაში.

ოლქის პოლიტსამმართველოსთან არსებული პარტიული კომისიის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტკომისიის მდივანმა, პოლკოვნიკმა **ბ. მ. ზაზულინმა**.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **ვ. მ. არხიპოვი**, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი **ბ. პ. უტკინი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი **ბ. ე. ხნტოურინი**.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ**.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ოლქის პირადი შემადგენლობის შეკავშირება, ჩაუნერგონ კომუნისტებს, ყველა მეომარს მეცნიერული მსოფლმხედველობა და იდეური მრწამსი, მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები, რთული საერთაშორისო ვითარების ღრმა გაგება, სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დასაცავად, ყოველი აგრესორის გასანადგურებლად დიდი პოლიტიკური სიფხიზლისა და მუდმივი მზადყოფნის საჭიროების გრძნობა.

საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ნ. ანდრეევი**, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ა. მამედოვი**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. დ. გაბუნია**, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილებების გამგეები **ხ. მ. გუსეინოვი, მ. მ. დავთიანი, ნ. რ. ხაჭაია**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **გ. ა. კუცი**.

(საქინფორმი).

თბილისი: ერთი წელი საუკუნეთა რიგში

სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს სესია

თბილისის სამრეწველო პოტენციალის განუხრელი გადიდების კურსი საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის გეგმის დამახასიათებელი ნიშანია. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს რესპუბლიკის ინდუსტრიული და მთლიანად ეკონომიკური აღმავლობის ტემპის შემდგომ დაჩქარებას. ხუთწლედის მეოთხე წელს თბილისში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების მოცულობის 3,5 პროცენტით გადიდება. უპირატესი ტემპით განვითარდება ელექტროტექნიკური, ელექტრონული, მრეწველობის სხვა დარგები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, „ბ" ჯგუფის დარგების ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებას, და, რაღა თქმა უნდა, შრომის ნაყოფიერების გაზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ეს ითქვა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესიაზე, რომელმაც განიხილა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის გეგმა. მომხსენებელმა — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ე. სარალიძემ, ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ წარმოებაში, ყოველ ორგანიზაციაში, რეზერვების, შესაძლებლობების ძიებას სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ დასახული დაძაბული პროგრამის შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებებით დაკონკრეტებული ეს პროგრამა ერთობ რთული, მაგრამ რეალურია. მის რეალიზაციას საფუძველი ჩაუყარა თბილისელთა გასული წლის მიღწევებმა. კერძოდ, ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 22 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი.

შარშან თბილისელთა რვა ათასმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა კეთილმოწყობილ ბინებში. მწყობრში ჩადგა თბილისის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ახალი კორპუსები, სამი სკოლა, ხუთი საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. სტაბილურობით გამოირჩეოდა ქალაქის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაობა, გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია.

ამ ფონზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნაკლოვანებანი და ხარვეზები მუშაობაში. მაგალითად, უკვე ქრონიკული ხდება ქალაქის ელექტროტრანსპორტის ჩამორჩენა. ვაჭრობის მთელი რიგი სამსახურების უგერგილობის გამო დედაქალაქის მოსახლეობას გასულ წელს დააკლდა 122,8 მილიონი მანეთის საქონელი. კვლავინდებურად გახშირდა დარღვევების ფაქტები მომსახურების სფეროში.

თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის განხილვისას დეპუტატებმა განსაზღვრეს არსებული პრობლემების გადაჭრის, ნაკლოვანებათა დაძლევის, რაიონული საბჭოების აღმასკომების, მათი საგეგმო-ეკონომიკური და სხვა სამსახურების მუშაობის სრულყოფის კონკრეტული გზები. კერძოდ, სოლიდური ასიგნებანი გამოიყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. მარტო მეტროპოლიტენის ახალი ხაზების მშენებლობისათვის გამოიყო 13 მილიონი მანეთი, რათა 1985 წელს საექსპლოატაციოდ გადავცეს თემქისა და ვარკეთილის მეტროს ხაზები. მომავალ წელს დამთავრდება ავჭალაში ტრამვაის დეპოს, მსუბუქი ტაქსების კიდევ ერთი გარაჟის აგება. მწყობრში ჩადგება სამგზავრო საჰაერო ბაგირგზა, რომელიც დააკავშირებს მეტროს „სამგორის" სადგურს ვაზისუბნის საცხოვრებელ მასივთან.

კაპიტალური მშენებლობის დარგში ფულადი სახსრების დაბანდებით მესამედი საბინაო მშენებლობას მოხმარდება. იგი გაგრძელდება როგორც უკვე დასახლებულ მიკრორაიონებში — ვარკეთილში, ვაზისუბანსა და მუხიანში, ისე დიდი დიღმის დასახლებაში, რომელსაც ეს-ეს არის ჩაეყარა საფუძველი.

მწყობრში ჩადგება 10 ათასი ნომრისათვის გათვალისწინებული ავტომატური სატელეფონო სადგური-41. თემქისა და მუხიანის დასახლებებში დაიწყება კიდევ ორი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა, გაიზრდება ავტომატური სატელეფონო სადგურ-38-ის სიმძლავრე.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალაქის წყალმომარაგების ქსელის შემდგომ განვითარებას. დამთავრდება მეექვსე წყალსადენის, სამგორის სატუმბი სადგურის მეორე რიგის, დიდი დიღმის მაგისტრალური წყალსატარის მშენებლობა, მიმდინარეობს მდინარე ხრამზე ახალი წყალსატარის დაპროექტება, რომლის აშენება შექმნის საქართველოს დედაქალაქის შეუფერხებელი წყალმომარაგების პრობლემის მნიშვნელოვნად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

სესიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა დაჩქარდეს რაიონების და მთლიანად ქალაქის ეკონომიკის მართვის ახალი სქემების დანერგვა, რადგან სწორედ საუწყებათაშორისო საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოები უზრუნველყოფენ პრაქტიკულად კონტროლს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლების მიღწევისადმი, მათს კოორდინაციას თბილისის სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ყველა ძირითად დარგში.

სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის დედაქალაქის 1984 წლის ბიუჯეტი, 1982 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დამტკიცებულია აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის ღონისძიებათა გეგმა.

განიხილეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამსახურებისა და ორგანიზაციების მისამართით საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე კომუნისტების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების საკითხი.

განხილული საკითხების გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

განიხილეს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ნ. ნ. ნეფედოვი გაათავისუფლეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია მ. ნ. მღებრიშვილი, რომელიც მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია. (საქინფორმი).

ხალხის დიდი ნდობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ასახელებენ რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯოლარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის №168 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მეკარტოფილე, სრულიად საკავშირო ალკკ წევრი **ეთერ ხანათრუკის ასული გალავარიანი**.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ეთერ პეტრეს ასული ქემერტელიძე** ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის კოლექტივმა დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქობულეთის №177 საარჩევნო ოლქში. ეს კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე ხულოს რაიონის სოფელ კორტოხისა და შუახევის რაიონის სოფელ დღვანის კოლმეურნეობების მშრომელებმა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობაში გამართულ კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის №184 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა**.

ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნისა და წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის კოლექტივებმა აგრეთვე დაასახელეს ეს კანდიდატურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრი წყაროს №188 საარჩევნო ოლქში თეთრი წყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა დაასახელა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი **სემონ კონსტანტინეს ძე კურკოტკინი**. ეს კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე დმანისის რაიონის განთიადის მეძროხეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობისა და წალკის რაიონის თრიალეთის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივების კრებებზე. (საქინფორმი).

აშშ—ისრაელი:

შეთქმულების ნაყოფი

ლიბანის და ახლო აღმოსავლეთის მოვლენები მთლიანად მშვიდობისათვის სულ უფრო დაძაბულ და საშიფათო ხასიათს იძენს. ნათლად გამოხატული ხალხთა ნებისა და გონების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს დაამკვიდროს თავისი ბატონობა რეგიონში, და ამ მიზნით ყველანაირ საშუალებას იყენებს: საზღვაო გემის „ნიუ-ჯერსის" ზემძლავრი ქვემეხებით დაწყებული და დიპლომატიური მანტაჟით დამთავრებული.

საბჭოთა საზოგადოებრიობის ანტისიონისტური კომიტეტის თავმჯდომარის დ. ა. დრაგუნსკის ინტერვიუ

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საბჭოთა საზოგადოებრიობის ანტისიონისტური კომიტეტის თავმჯდომარეს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ-პოლკოვნიკ დ. ა. დრაგუნსკის გამოეთქვა თავისი აზრი ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის აგრესიული მოქმედების ახალ ესკალაციასთან დაკავშირებით.

დ. ა. დრაგუნსკი: ვვარაუდობ, რომ ახლანდელი მოვლენები ლიბანში „სტრატეგიული თანამშრომლობის ...

...ტიკური, არამედ სამხედრო აქციების უფრო მჭიდრო კოორდინაციას, რომლებსაც კვლავ მიზანში მყავთ ამოღებული რეგიონში ამერიკა-ისრაელის დიქტატის დამყარების წინააღმდეგ მებრძოლი არაბული ძალები.

თავისთავად ვაშინგტონისა და თელ-ავივის სტრატეგიული ალიანსი ემყარება როგორც საერთო მიზნებს, ისე მათი მიღწევის საერთო მეთოდებს, „ნიშუმად" იყენებენ რა კემპ-დევიდის მორიგებას, ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ცდილობენ ამერიკა-ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს გამოაკლონ ერთი მეორის მიყოლებით არაბული ქვეყნები და ამ პოლიტიკის მორიგი მსხვერპლი „ჩათრიონ" ...

12 იანვარი — უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები

საქდესი იუწყება

● კუბა

არჩევნების წინ

● ჩილე

ფოტორეპორტაჟი

ამკაცრებენ რეპრესიებს

პინოჩეტის ფაშისტური ხუნტა ამკაცრებს რეპრესიებს რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ. სანტიაგოსა და სხვა ქალაქებში არ წყდება სახალხო გამოსვლები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ სძულველი დიქტატორის გადადგომას, ტერორის შეწყვეტას, დაუყოვნებლივ ღონისძიებათა მიღებას ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის შესამცირებლად.

სურათზე: მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლის ერთ-ერთი მონაწილის დაპატიმრება სანტიაგოში.

აპ-საქდესის ფოტო.

ვაშინგტონის წაქეზებით

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

მანაგუა. ვაშინგტონის წაქეზებით ჰონდურასის მხედრიონი სულ უფრო აქტიურად ებმება სანდინისტური სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ აგრესიულ გეგმებში. როგორც აქ განაცხადა ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ჰონდურასის ჯარის ქვეგანაყოფები სომოსელთა ბანდასთან ერთად ორჯერ დაესხნენ თავს სანდინისტი მესაზღვრეების პატრულებს ჩინანდეგას დეპარტამენტის ვადოანჩოს რაიონში.

ახალი წლის პირველი 10 დღის განმავლობაში, ხაზგასმულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, თვითმფრინავებმა 8-ჯერ დაარღვიეს ნიკარაგუის საჰაერო სივრცე.

● იორდანია

მთავრობა გადადგა

ამანი. გადადგა იორდანიის მთავრობა პრემიერ-მინისტრ მოდარ ბადრანის მეთაურობით. მეფე ჰუსეინი გადადგომას დათანხმდა და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს აჰმედ ობეიდათს დაავალა ახალი მთავრობის შექმნა.

აჰმედ ობეიდათი, როგორც აქ გამოაცხადეს, გახდა იორდანიის ახალი პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი, სულეიმან არარი — პრემიერ მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. მთავრობაში, რომელშიც 20 წევრია, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა თაჰერ ალ-მასრიმ.

საერთაშორისო შენიშვნები

„სტრატეგიული სამკუთხედი"—ახალი საშიში კერა

როგორც ცნობილია, არჩევნების წინ ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი ტოკიოსა და სეულში ჩავიდა. ამ ვიზიტის მიზანი იყო აზიაში ნატოს ვარიანტის — აზია-წყნარი ოკეანის სამხედრო-აგრე...

...ნის ახლანდელი ადმინისტრაციის აზრით, ამ ბლოკის საფუძველი უნდა გახდეს ეგრეთ-წოდებული „სტრატეგიული სამკუთხედი" და ნატოს წევრი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მსგავსად, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ სამხედრო ხარჯები უნდა გაზარდონ.

დღეისათვის ცალ-ცალკე უკვე არსებობს ვაშინგტონ-ტოკიოსა და ტოკიო-სეულის კავშირები. ჯერ კიდევ ვილიამსბურგში იაპონია შეუერთდა „შვიდეულის განცხადებას სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე". ვაშინგტონის ადმინისტრაციის ზეგავლენით იაპონიის მთავრობამ იკისრა ხუთწლიანი სოლიდური თანხა მიეცა სამხედრო კორეისათვის სამხედრო ხარჯების დასაფარავად.

მითური „საბჭოთა საფრთხის" საბაბით გაჩაღებული ანტისაბჭოური კამპანია, ვაშინგტონის ადმინისტრაციის ავანტიურისტული გეგმა ნოყიერ ნიადაგს პოულობს ტოკიოს სამხედრო წრეებში.

...რო-პოლიტიკური თანამშრომლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მწვავე სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობანი. საქმე ის გახლავთ, რომ საავტომობილო, ფოლადჩამომსხმელ და სატვირთო მრეწველობაში, ელექტრონიკის დარგში შეერთებული შტატები ჩამორჩება იაპონიას. მარტოოდენ, მათ შორის საქონელბრუნვამ 1983 წელს 60 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, მაგრამ ამერიკის ბაზარზე დაახლოებით ორჯერ მეტი იაპონური საქონელი გაიყიდა, ვიდრე იაპონიამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოიტანა. ვაშინგტონის კონტრღონისძიებებს კი (საბაჟო გადასახადების გაზრდა და სხვ.) შედეგი არ მოუყოლია. ამიტომ ვაშინგტონი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სამხედრო ხარჯები დააკისროს იაპონიას.

ამერიკელი სტრატეგები ტოკიოსა და სეულის მმართველ წრეებთან ერთად საშიშ ავანტიურისტულ გეგმას ადგენენ, რომელიც ითვალისწინებს იაპონიის ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის, სამხრეთ კორეის ცოცხალი ...

ხრეთ კორეის ტერიტორიაზე ამერიკული ფრთოსანი რაკეტებისა და ნეიტრონული ბომბების განლაგება და ამავე მიზნით იაპონიის კუნძულების გამოყენება.

ძალისა და ამ ორი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენებას ვაშინგტონის ბირთვული შანტაჟისათვის.

სწორედ ამ „სახიფათო თამაშს" მიაქცია ყურადღება იაპონელ ...

ო. ტაბაღუა,

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ყაბახი

ჩვენში ჰოკეის დანერგვისათვის

უკვე მეორე წელია ბაკურიანის ყინულის მოედანი მასპინძლობს საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის „ოქროს შაიბის" პრიზის რესპუბლიკურ ტურნირს. ხუთ დღეს მიმდინარეობდა ნორჩ ჰოკეისტთა ეს შეჯიბრება, სადაც ბოლომდე ერთპიროვნულად ლიდერობდა თბილისის „პირველი მერცხალი". მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის „მზიურს". ბაკურიანის „კოხტა" მესამე ადგილზე გამოვიდა. ტურნირში მონაწილეობდნენ აგრეთვე ახალციხის „ჩიორაღდანი", ახალქალაქის „განთიადი" და ბოგდანოვკის „ბუგარკი". შეჯიბრებამ ცხადყო, რომ საქართველოში ჰოკეის, სპორტის ამ ვაჟკაცური და ლამაზი სახეობის განვითარებას, უკვე აქვს გარკვეული საფუძველი. ცხადია, ყველა ახალ წამოწყებას თავისი სირთულე ახლავს. ასეა აქაც.

— არ გვაქვს საჭირო ...

...

ნ. თათიშვილი.

„კლუბების სუპერთასი"

პირველივე დღეს

გასპაროვი — პირველ ადგილზე

საჯურნირო ორბიტა

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ოთხშაბათი, 18 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „ბილიკურიბა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის „ცვლა" (განმეორებით). 10.55 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამფეროპოლი". 11.10 — დოკუმენტური ფილმი „ცხოვრების არტერიები". 12.05 — „აჭარა — დღეჯერებული" (მ.). 13.00 — დოკუმენტური ფილმი „ბედი ადამიანთა". 13.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა უზბეთის გარშემო". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — პროგრამა მოსწავლეთათვის: საზოგადოებათმცოდნეობა. 16.40 — რუსული ენა. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.20 — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 18.15 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (განმეორებით). 19.05 — გ. დოჩანაშვილი. „ბახი" — სატელევიზიო სპექტაკლი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — საესტრადო კონცერტი „ანსამბლი-75". 21.10 — „მეცნიერების სამყაროში" (სამთო მექანიკის ინსტიტუტში). 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა". 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — ...

ლმი „ტოლიატი" — ქალაქი ტიგულებში". 9.30 — „მოამბე". 10.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „კლაიპედა". 10.30 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია. 11.00 — „ახალი გრამფირფიტები". 11.45 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა". 13.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამა სადალაქოში". 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ხმაური". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.40 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმები: „ჯადოსნური კვერცხი", „წუნა და წრუწუნა". 17.10 — „ჩემი კომკავშირი — „ვარსკვლავეთი-84". 17.50 — პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის — „ჩვენი თვითმოქმედება". 18.10 — განცხადებები. 18.15 — „პოეზია" (კითხულობს გურამ საღარაძე). 18.50 — კინონარკვევი. 19.05 — „იმ ქართველიან დღეთა ქრონიკა" — გადაცემა „ხსოვნა". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჯვარი". 20.45 — ახალგაზრდობისათვის ინტერკლუბი „თბილისი-სოფია" (განმეორებით). 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დულცინეა ტობოსელი". I სერია. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — ...

ხუთშაბათი, 19 იანვარი

პარასკევი, 20 იანვარი

შაბათი, 21 იანვარი

კვირა, 22 იანვარი

ოთხშაბათი, 18 იანვარი

მოსკოვი

თბილისი